

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლექსიკონის საილუსტრაციო მასალით სიმდიდრე. საილუსტრაციო ფრაზები დიდზე დიდ წილად ხალხური შემოქმედებიდანაა მოხმობილი, რაც კარგად წარმოაჩენს თითოეული განსამარტი სიტყვის სემანტიკასთან ერთად მის მხატვრულ ღირებულებასაც. ეს მხარეც გამოაჩვენებს ამ ლექსიკონს არსებული დიალექტოლოგიური ლექსიკონებიდან: აქამდის გამოცემულ ლექსიკონებში საილუსტრაციო მასალად ხალხური პოეტური შემოქმედების ნიმუშები ამ დოზით არსადაა წარმოდგენილი.

ლექსიკოგრაფიის თეორიიდან ცნობილია, რომ დიალექტოლოგიური ლექსიკონების თავისებურებას ისიც წარმოადგენს, რომ ისინი არაა მხოლოდდამხოლოდ ენობრივი ლექსიკონები, არამედ საკმაოდ დოზით შეიცავენ ენციკლოპედიური ლექსიკონების მინარევებსაც. ალექსი ჭინჭარაულის ლექსიკონი ამ მხრივაც სანიმუშოა. აქ უამრავი რეალიაა წარმოდგენილი ხევსურეთის ძველი ყოფიდან, რომელიც კარგახნის გამქრალია ცოცხალი სინამდვილიდან და თუ არა ეს ლექსიკონი, მათ სულ მალე დაფარავდა დავიწყების ფერფლი და რომელსაც ვერც ერთი არქეოლოგი და ძველი კულტურების მკვლევარი ვეღარ აღმოაჩენდა. ასე რომ ეს წიგნი ხევსურეთის კულტურულ მონაპოვართა საიმედო განძოსაცავიცაა.

გიორგი ცოცანიძე

**„თავისუფალი ამირანი“ (80 ვერსია), ნაწილი I,
რედაქტორ-გამომცემელი ლეონ ფირცხალავა, „იმედი“
თბ., 2010, 272+4 გვ.**

ექვსი ათეული წლის შემდეგ, რაც პროფესორმა მიხეილ ჩიქოვანმა პირველად გამოაქვეყნა ამირანის თქმულების ფოლკორული ჩანაწერების სრული კორპუსი თავისი დოკუმენტაციით და ვრცელი შენიშვნებით, რომელმაც ზედმიწევნით ასახა მისი საქართველოს კუთხეებში გავრცელების დიაპაზონი, ბუნებრივია, ამ მითოსური ფიგურისადმი დაუცხრომელი ინტერესის გამო, გაჩენილიყო მათი ხელახალი გამოქვეყნების საჭიროება. ქართული ხალხური პოეზიის 12-ტომეულის დასრულების შემდეგ, ბუნებრივად წამოიჭრა საკითხი „ამირანიანის“ ტექსტების ხელახალი პუბლიკაციისა. სამწუხაროა, რომ პროფესორ მიხეილ ჩიქოვანს არ დასცალდა ამ ამოცანის შესრულება. საბედნიეროდ, ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებაში დაცული მის მიერ მომზადებული პროექტის საფუძველზე შესაძლებელი ხდება კიდევ უფრო სრული კორპუსის გამოქვეყნება, რაზეც ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ეპიური ტექსტებით დაინტერესებულ პირს ეკრძალებოდეს ნებისმი-

ერი სახით მათი გამოცემა. სამეცნიერო კვლევისა და პუბლიკაციის მონოპოლია, რომელიც ბატონობდა არცთუ შორეულ წარსულში, იმ წარსულსვე ჩაბარდა. რაკი მ. ჩიქოვანის „მიჯაჭვული ამირანი“ ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა (თუმცა აქა-იქ გამოჩნდება ხოლმე ბუკინისტურ დახლებზე) და 1947 წლის შემდეგ ახალი ვარიანტებიც გამოჩნდა, მისადმი ინტერესი კი ძალზე დიდი ჩანს, წლიდან წლამდე იზრდება, გამომდინარე აქედან აუცილებლად მიგვაჩნია, რომ მკვლევარს და რიგით მკითხველს საშუალება ჰქონდეს უშუალოდ გაეცნოს ფოლკლორულ დედნებს, რაც უნდა ფრაგმენტული იყოს ისინი. სამეცნიერო და პოპულარულ პერიოდიკაში თუ კრებულებში ხშირად ვაწყდებით ეპოსის ახალ-ახალი ინტერპრეტაციების მცდელობებს და, რაოდენ დასანანია, რომ ზოგჯერ ავტორები ხშირად ფოლკლორული მასალისგან მოწყვეტით ავითარებენ თვალსაზრისებს და არც კი ებადებათ დედნებამდე მისვლის სურვილი. ხშირად მკვლევარისა თუ დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი მხოლოდ ფრაგმენტებია, რომელსაც ის ქრესტომათიებში ეცნობა. მაგრამ ეს არ არის საკმარისი ჟამთა ვითარებით ისედაც „დანგრეული“ ეპიური შენობის მთლიანობაში აღსაქმელად და, მითუმეტეს, შესასწავლად. ამრიგად, ყოველ ახალ პუბლიკაციას მივსალმებით.

მივსალმები ლეონ ფირცხალავას მცდელობას გატეხოს ნავსი, როგორც იტყვიან, და ამოავსოს სამოცწლიანი ხარვეზი ამ დარგში. მივსალმები და მხარს ვუჭერ მცდელობას ამ დიდად მნიშვნელოვან საქმეში, მაგრამ არა მის კონკრეტულ განხორციელებას იმ სახით, რა სახითაც „თავისუფალი ამირანია“ შემოთავაზებული.

“რედაქტორისაგან” – ჩვეულებრივ ამ სათაურის შესავალში გამოცემის ტექნიკური მხარის შესახებ ინფორმაციას მოველით, მაგალითად, იმის თაობაზე, თუ რა წყაროდან მომდინარეობს წიგნში დაბეჭდილი ტექსტები (80 ერთეული). რედაქტორი წერს: „წინამდებარე გამოცემისთვის შევეცადეთ ერთად შეგვეკრიბა ამირანის თქმულების ძირითადი ვერსიები და ზოგიერთი ფრაგმენტული ნაწილიც, რათა დაინტერესებულ მკითხველს არ გასჭირვებოდა მასალების მოძიება“ (გვ. 8). ვეთანხმები. ჩანაფიქრი კეთილშობილურია, მაგრამ ბუნებრივი იყო რედაქტორ-შემდგენელს მიეთითებინა წყარო, თუ საიდან ამოკრიბა ეს ოთხმოცი ვერსია, თორემ რიგით მკითხველს შეიძლება შეექმნას შთაბეჭდილება, რომ ეს ტექსტები მისი მოპოვებულია. საქმეში ჩახედულმა მკითხველი კი ადვილად მიხვდება, საიდან არიან ისინი ამოკრებილი.

კეთილსინდისიერება მოითხოვდა წიგნის ტიტულზე ყოფილიყო აღნიშნული პროფ. მიხეილ ჩიქოვანი სახელი, რამდენადაც ტექსტების

აბსოლუტური უმრავლესობა „მიჯაჭვული ამირანიდან“ (1948) არის გადმობეჭდილი უცვლელად იმავე თანამიმდევრობით, კუთხეების მიხედვით და თანდართული შენიშვნებითურთ.

„თავისუფალი ამირანი“, რბილად რომ ვთქვათ, გაუმართლებლად შეცვლილი სათაურით, უცვლელად იმეორებს მიხეილ ჩიქოვანისეულ „მიჯაჭვული ამირანის“ სტრუქტურას: ტექსტები+შენიშვნები. ის 11 ტექსტი, რომელიც დამატებულია ახალ გამოცემაში, არ ცვლის საქმის ვითარებას. აქედან გამომდინარე „თავისუფალი ამირანი“ არის არა დამოუკიდებელი, არამედ „მიჯაჭვული ამირანის“ მეორე შევსებული გამოცემა, რაც უნდა აღნიშნული ტიტულზე. მ. ჩიქოვანი ღვაწლი მხოლოდ გაკვრით არის აღნიშნული: „ეს ნაკლი გამოსწორდა, როდესაც მ. ჩიქოვანმა 1947 წელს გამოსცა „მიჯაჭვული ამირანი“ (გვ. 8). ეს არის და ეს.

ზემოთ ითქვა, რომ ხშირად ამირანის თქმულების შესახებ გამოთქმული თვალსაზრისი არ ეფუძნება ფოლკლორულ მასალას, ბატონობს რომელიმე ავტორიტეტული მოღვაწის ცნობიერებაში გამომუშავებული სტერეოტიპები, რომლებიც გადადიან ნაშრომიდან ნაშრომში. მაგალითისთვის, აკაკი წერეთლის თვალსაზრისი ამირანზე, როგორც უსამართლოდ დასჯილ გმირზე, რომელმაც მე-19 საუკუნის პოეტის წარმოსახვაში სიმბოლურად საქართველოს მდგომარეობა გამოხატა, ბევრის მიერ ხალხის სულისკვეთებად არის გასაღებული, თუმცა არც ფოლკლორულ მასალებში, არც ყოფაში ამის არავითარი საფუძველი არ არსებობს. ამ თვალსაზრისმა, რომლსაც ვაჟა-ფშაველაც კი, ყველაზე უნივერსალური სული მე-19 საუკუნეში, ვერ ასცდა, შესაძლოა, თავისი როლი შეასრულა ქართველთა თვითშეგნების გაღვიძებასა და თავისი ყოფის გაცნობიერებაში, მაგრამ მისი ხალხურ იდეად გამოცხადება სხვა არაფერია, თუ არა ხალხური კულტურის პროფანაცია. ამირანი, როგორც ხალხი ფიქრობს, ჰუბრისისთვის დაისაჯა და, ვინც დღეს ვერ ხედავს ამას, ვისთვისაც ქრისტესმებრძოლეობა გმირობის გამოხატულებაა, ვინც არ უნდა იყოს იგი, მკვლევარი თუ რიგითი ქართველი, თავადაც ჰუბრისის ტყვეობაშია. როდესაც ამ ტყვეობიდან გათავისუფლდება ადამიანი, მთელი კაცობრიობა, ამირანიც მაშინ გათავისუფლდება. ამაშია ხალხური თქმულების საზრისი, რისი დამტკიცება ხალხური ჩანაწერების მოხმობით არ არის ძნელი. ლეონ ფირცხალავას მოლოდინი კი ლოკალური ნიშნით არის აღბეჭდილი: „ანლოვდება საქართველოს აღდგომა – ლაზარეს აღდგინება, ამირანის გათავისუფლება“ (გვ. 9). ამირანისა და ლაზარეს იდენტურობის, რბილად რომ ვთქვათ, პრობლემატურობაზე რომც არ ვილაპარაკოთ, ეთნიკურ საზღვრებში მოქცევით, ერთი კერძო სამშობლოს იდეამდე

დაყვანით კნინდება ამირანის თქმულების საზრისი და მის საკაცობრიო მასშტაბებს ფრთები ეკვეცება.

ტექსტების არაადექვატურია სათაური „თავისუფალი ამირანი“, რომელიც ცხრა ენაზე დაწერილი კვადრატულ ჩარჩოს ქმნის წიგნის ყდაზე. ყველას აქვს უფლება, ჰქონდეს თავისი აზრი (ეს ავტორის საკუთრებაა), მაგრამ დაუშვებელია ხალხური ტექსტებისთვის საკუთარი თვალსაზრისის თვითნებურად თავზე მოხვევა. ერთი ტექსტი, ერთი ფრაგმენტი მაინც იძლეოდეს იმის მინიშნებას, რომ ამირანი გათავისუფლდა. ასეთ ფრაგმენტს ვერ აღმოვაჩინეთ, რაზეც ავტორი დაგვეთანხმება, მაგრამ ამ სათაურის არგუმენტად „ერთი ქართველი მწერლის“ (სახელდობრ, რომლის?) ნათქვამი, რომ „ამირანის გათავისუფლება ყოველმა თაობამ უნდა შეძლოს“, არ გამოდგება. კარგი ნათქვამია, თუ მას პიროვნულ-ეკსისტენციალურ ასპექტში გავიაზრებთ. მაგრამ როგორ იგრძნოს ანონიმურმა, უპიროვნო თაობამ, რომ მასში ამირანი გათავისუფლდა? როგორც ჩანს, რედაქტორ-გამომცემელი ფიქრობს, რომ ჩვენმა თაობამ გაათავისუფლა ამირანი, რაკი მის მიერ დღეს გამოცემულ ტექსტებს სათაურად „თავისუფალი ამირანი“ უზის. მე ვფიქრობ, ეს, ცოტა არ იყოს, ნაადრეგია. ხალხი კი ამირანის გათავისუფლებას ბორკილებიდან ესქატოლოგიურ პერსპექტივაში მოელის, როცა საამისო ჟამი დადგება. მანამდე კი ის მიჯაჭვულია (სხვათა შორის, ამ ნიშნითაც განსხვავდება იგი პრომეთესისგან). ამირანი ერთხელ ხომ იყო თავისუფალი და ეს თავისუფლება, ვიცით, რისთვის გამოიყენა. ხალხის სული საბედისწერო მომენტებს არა ეროვნულ, არამედ საკაცობრიო განზომილებაში ჭვრეტს და უფრო სიღრმისეულად, ვიდრე ცალკეული ადამიანი, თუნდაც გენიალური. ხალხი ამ თქმულებით დღესაც ნიშანს გვაძლევს, ჩვენ კი ჯიუტად კვლავ და კვლავ ილუზიებში ვრჩებით.

გაუგებარია მცდელობა ამირანის ეპოსის, კერძოდ, მისი მთავარი გმირის *პიროვნების* დაკავშირება საქართველოს ისტორიასთან, რომ თითქოს მის გარეშე „ათასწლეულებს მიღმა ერის თვალსაწიერი ბურუსით იქნებოდა მოცული“, „ამირანი, თავისი სინათლით და სიდიადით ფანტავს წყვიდადის ნისლებს წინარე ისტორიულ ეპოქაში და ამით ხაზს უსვამს ქართველი ხალხის უძველეს ისტორიას“ (გვ. 7). მითოსში ისტორიზმის შეტანის მაგალითია ავტორის მიერ გამოთქმული აზრი, თითქოს ამირანი, „ძველი ქართული სარწმუნოების, მრწამსის მქონე გმირი“, „იმ დროს გაბატონებული უცხო რელიგიის ღმერთს“ უნდა მიეჯაჭვა“ (იქვე) – არგუმენტი: სიკეთისთვის მეზრძოლ ღმერთს ქრისტე არ დასჯიდა (თითქოს ქრისტე მას სიკეთისთვის სჯის და არა ჰუბრისისთვის, გაბუდაყებისთვის), ან თუნდაც უცხო ღმერთს რატომ უნდა

დაესაჯა გმირი სიკეთისთვის, თითქოს ის ისტორიული პირი ყოფილიყოს? უნაყოფოა მიჯაჭვის არა მხოლოდ „ზუსტი თარიღის“ ძიება, არამედ საერთო მისი დათარიღების მცდელობაც კი, რადგან მითოსი ზეისტორიული მოვლენაა და, რომელი გამოჩენილი მკვლევარიც არ უნდა ვარაუდობდეს III-II ათასწლეულებს, ეს ვარაუდი ჰიპოთეზადაც არ ჩაითვლება. პრობლემა ალბათ ის უფრო უნდა იყოს, თუ როდის შეიქმნა მიჯაჭვული გმირის მითოსი საქართველოში, ქართულ ენაზე. დღედღობით კი „ამირანიანის ჩანაწერები“ არათუ ქრისტიანულ ეპოქას, XIX ს-აც არ სცილდება.

წიგნს ერთვის ვაჟა-ფშაველას (ორი), აკაკი წერეთლის (ორი), შოთა ნიშნიანიძის და გალაკტიონ ტაბიძის თითო ლექსი.

ამირანზე ბევრი ლექსი დაწერილა. თითებზე ჩამოსათვლელია ქართველი პოეტები, რომელთაც არა შეუთხზავთ ლექსი ამირანზე. მათ ერთად შეკრებას, შესაძლოა, ჰქონდეს რალაც აზრი, თუნდა იმის საჩვენებლად, თუ რას ხედავენ ქართველი პოეტები ამ ტრაგიკულ გმირში, მაგრამ ამირანის თქმულების ვარიანტების აკადემიურ გამოცემაში მათი ადგილი ნამდვილად არ არის. ასევე: აკადემიური გამოცემისთვის სრულიად შეუფერებელია წიგნის თავში სხვადასხვა ადგილად მოთავსებული ეპიგრაფები, რომლებიც შეიცავს ანა კალანდაძის, ეფრემ მეორის, ლევან გოთუას სტრიქონებს, და წიგნის ბოლოს მიტროპოლიტ თადეოზის ლექსი, და მის გვერდით ქართული ანბანი. რა უნდა ჰქონდეს ადამიანს ამ ავტორთა საწინააღმდეგო, მაგრამ ძნელია იმის მიხვედრა, თუ რას სძენენ ამ წიგნს მათი სტრიქონები.

ზურაბ კიკნაძე

ამბროსი ხელაია. მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში. ჭელიშის ვარიანტი „ქართლის მოქცევისა“: მწიგნობრობა ქართული. სასულიერო მწერლობა 12, ტომის შემდგენელ-რედაქტორი ფ.მ.დ. მიხეილ ქავთარია, გამ-ბა „ციცინათელა“, თბ., 2011, 492 გვ.

გამომცემლობა „ციცინათელამ“ სერიით „მწიგნობრობა ქართული“ მე-12 ტომად გამოსცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის (ხელაია) ნაშრომი „მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, რომელიც ამბერის ფსევდონიმით 1902-1904 წლებში ნაწილ-ნაწილ ქვეყნდებოდა ჟურნალებში „განთიადი“ და „ცხოვრება“. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ნაწილი „მოგზაურობისა“ პირველად იბეჭედება ამ გამოცემაში. გამოცემა ეკუთვნის სამეცნიერო-საექსპედიციო ჟანრს, რომლის არაერთი ნიმუში შეიძლება დავასახელოთ. რად ღირს თუნდაც გასული საუკუნის მეორე ნახევარში პლატონ იოსელიანის მოგზაურობათა მთელი სერია ვრცელი აღწერილობებითა და ისტორიული